დადგენილება № 15/2023 – სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინიტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

დადგენილება №15/2023
თარიღი: 16 ნოემბერი, 2023 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მე-3 პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, "სსიპ -თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების (არჩევნების) პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 01 ნოემბრის № 02-47-R ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო კომისიის 16.11.2023 წლის შემაჯამებელი ოქმისა და კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 16 ნოემბრის № 10 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი № 10),

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის N88/2023 დადგენილებით შერჩეული კანდიდატი – **გიორგი ზაქარაია** დამტკიცებულ იქნეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე (იხ. შემაჯამებელი ოქმი).
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №64).

5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის თავმჯდომარე,

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი ლეილა მარუაშვილი